



5303-15-2-2-202005280933



N 15-2/5303
28/05/2020

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ ირაკლი შოთაძეს

წინადადება
მოქალაქე [REDACTED] ავტომანქანის დაბრუნების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შესწავლის შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ირაკლი,

2019 წლის 27 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს N16095/19 განცხადებით მიმართა მოქალაქე [REDACTED] განმცხადებლის განმარტებით, მისი კუთვნილი ავტომანქანა MERSEDES – BENZ VANEO სახელმწიფო ნომრით [REDACTED] გამოძიების მიერ ამოდებულ იქნა სისხლის სამართლის [REDACTED] საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში და ამ დრომდე უკანონოდ ეზღუდება საკუთრების უფლება.

ფაქტობრივი გარემოებები

სისხლის სამართლის [REDACTED] საქმეზე გამოძიება დაიწყო 2010 წლის 20 აგვისტოს, ხოლო რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2014 წლის 13 მარტის დადგენილების თანახმად, გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. ამავე დადგენილებაში მიეთითა, რომ „ავტომანქანა MERSEDES – BENZ VANEO სახელმწიფო ნომრით [REDACTED] საიდენტიფიკაციო ნომრით: [REDACTED] ნივთიერი მტკიცებულების თაობაზე დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გადაწყვეტამდე და სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად“.

საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 7 თებერვლის N13/7851 წერილით სახალხო დამცველის აპარატის ეცნობა, რომ სისხლის სამართლის [REDACTED] საქმეზე ჩატარებული გამოძიების შედეგად არ გამოიკვეთა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, რის გამოც, გამოძიება შეწყდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული

საფუძვლით, ხოლო ნივთიერი მტკიცებულება - ავტომანქანა, დაგის სამოქალაქო სამართლწარმოების წესით გადაწყვეტამდე და სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შენახულ იქნა სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.

ამრიგად, 2020 წლის 7 თებერვლის მონაცემებით ავტომანქანა ინახება სისხლის სამართლის საქმესთან ერთად და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება პროცესურატურაში წარდგენილი არ არის.¹

შესაბამისად, არსებული მოცემულობით, იმ შემთხვევაში თუ პირი, რომელთანაც მოქალაქე [REDACTED] შესაძლოა სამართლებრივი დავა ჰქონდეს აღნიშნულ ავტომანქანასთან დაკავშირებით, არ მიმართავს სასამართლოს სამოქალაქო სამართლწარმოების მიზნით, [REDACTED] ავტომანქანას არ დაუბრუნებენ.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, განაჩენში, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში, დაზარალებულის, გამართლებულის ან სხვა პირის კუთვნილი ყველა ნივთი და დოკუმენტი, ზრალდებულისა და იმ პირის გარდა, რომელსაც მათზე ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, უბრუნდება მესაკუთრეს ან მფლობელს.²

ამავე კოდექსის თანახმად, გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც პირის კუთვნილ ნივთთან დაკავშირებით დავა მიმდინარეობს. ასეთ შემთხვევაში, დავა ნივთიერი მტკიცებულებების გამო წყდება სამოქალაქო სამართლწარმოების წესით. ნივთიერი მტკიცებულება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ინახება სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.³

ამრიგად, გამოძიების პროცესში მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულება საქმესთან ერთად, საგამოძიებო ორგანოს მიერ, ინახება მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პროცესის მსვლელობის ფარგლებში. მას შემდეგ, რაც სასამართლო გამოიტანს განაჩენს, ან გამოძიების პროცესი შეწყდება და არსებობს დავა ნივთიერ მტკიცებულებებზე, მათი ბედი წყდება სამოქალაქო-სამართლებრივი პროცესის ფარგლებში. შესაბამისად, თუ გამოძიება შეწყდა, ნივთიერი მტკიცებულება უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მფლობელობასთან დაკავშირებით მიმდინარეობს დავა.

მსგავს პოზიციას იზიარებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აკადემიური განმარტებებიც, რომლის თანახმად: „ვინაიდან ქონებრივი ურთიერთობები სამოქალაქო სამართლის რეგულირების სფეროს განეკუთვნება, ნებისმიერი დავა ნივთიერი მტკიცებულების დაზიანების, პირისთვის მიკუთვნების/გადაცემის, შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების და ა. შ.

¹ საქართველოს გენერალური პროცესურატურის 2020 წლის 7 თებერვლის N13/7851 წერილი.

² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 81, ნაწ. 1, ქვეპ. „ე“.

³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 81, ნაწ. 2.

შესახებ წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების გზით საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად⁴.

ამავდროულად, აუცილებელია, რომ ეს ქონებრივი დავა მიმდინარეობდეს სასამართლოში და პრეტენზიას გამოთქვამდეს რომელიმე მხარე კონკრეტულ ნივთან დაკავშირებით. ანუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც სასამართლოში მიმდინარეობს შესაბამისი დავა რომელიმე პირის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ „დავა“ განიმარტებოდა, არა როგორც სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო-სამართლებრივი დავა, მაშინ გაჩნდებოდა შესაძლებლობა, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის მიუხედავად, პირს, რომლისგანაც ამოღებულ იქნა ნივთიერი მტკიცებულება არ მისცემოდა შესაძლებლობა ათ წლამდე ვადით⁵ ესარგებლა მისი კუთვნილი ნივთით.

ასეთ შემთხვევაში, პრეზუმირებულ ან/და რეგისტრირებულ⁶ კანონიერ მესაკუთრეს შეეზღუდება საკუთრებით სარგებლობა/განკარგვა სხვა პირის „პრეტენზიის“ საფუძველზე, რაც საკუთრების უფლების არაპროპორციულ და დაუსაბუთებელ შეზღუდვას გაუთანაბრდება. მსგავსი პრაქტიკა პირდაპირ წინააღმდეგობაში იქნებოდა როგორც საქართველოს კონსტიტუციის,⁷ ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის დანაწესებთან. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დარღვევა დაადგინა მსგავს საქმეში, სადაც პირს სისხლისსამართლებრივი პროცედურების მიმდინარეობისას, ორ წელზე მეტი ხნის ვადით, არაპროპორციულად ჰქონდა შეზღუდული საკუთარი ქონებით სარგებლობის უფლება.⁸

შესაბამისად, გამოძიების შეწყვეტის შემდგომ, მტკიცებულების სახით ამოღებული ნივთის შენახვა საგამოძიებო ორგანოს მიერ დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შესაბამის, განსჯად სასამართლოში, მიმდინარეობს სამოქალაქო-სამართლებრივი დავა აღნიშნულ ნივთან დაკავშირებით.

საგულისხმოა, რომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს⁹ 2020 წლის 8 აპრილის N70 წერილის თანახმად, [REDACTED] მონაწილეობით სამოქალაქო დავა არ იძებნება.

შესაბამისად, ვინაიდან სისხლის სამართლის [REDACTED] საქმეზე გამოძიება შეწყდა იმ საფუძვლით, რომ ნივთიერი მტკიცებულების სახით ამოღებული ავტომანქანის მიმართ ადგილი არ ჰქონდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, ხოლო [REDACTED] მონაწილეობით, აღნიშნულ მანქანასთან დაკავშირებით, სამოქალაქო დავა არ მიმდინარეობს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეგულირების შესაბამისად, ნივთიერი მტკიცებულების შენახვის საფუძველი, 2014

⁴ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი“ (2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით). თბილისი, 2015, გვ. 285.

⁵ სამოქალაქო-სამართლებრივი ხანდაზმულობის ზოგადი ვადა, იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 128, ნაწ. 3.

⁶ სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში.

⁷ საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 19, პუნქ. 1 და 2.

⁸ Dzinic v. Croatia, 38359/13, პარ. 80.

⁹ მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით განსჯადობის მქონე სასამართლო. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 15, ნაწ. 1.

წლის 13 მარტის შემდეგ (გამოძიების შეწყვეტის თარიღის შემდეგ) აღარ არსებობს. არსებული მოცემულობით, გამოძიების დასრულების შემდგომ, დაახლოებით 5 წლის განმაფლობაში, [REDACTED] დაუსაბუთებლად ეზღუდება საკუთრების უფლება.

დამატებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ დაარღვევს აღნიშნულ მანქანაზე ჰიპოთეტური მოსარჩელის უფლებებს. თუკი მანქანის გადაცემის შემდგომ სხვა პირს გაუჩნდება მასზე სამოქალაქო-სამართლებრივი დავის სურვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესები მას უფლებას მისცემს, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფა.¹⁰ სწორედ ამ პროცედურით და მხოლოდ სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით უნდა იყოს შესაძლებელი [REDACTED] საკუთრების უფლების შეზღუდვა მას შემდეგ, რაც გამოძიება შეწყდა და ამ მოცემულობით, სასამართლოში სამოქალაქო-სამართლებრივი დავა არ მიმდინარეობს.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოძიების შეწყვეტის შემდგომ, კანონიერ მესაკუთრეს ნივთი არ უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მიმდინარეობს სამოქალაქო-სამართლებრივი დავა აღნიშნულ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, რავი სისხლის სამართლის [REDACTED] საქმეზე 2014 წლის 13 მარტს გამოძიება შეწყდა, ხოლო განსჯად სასამართლოში მოქალაქე [REDACTED] მონაწილეობით დავა არ მიმდინარეობს, მას დღემდე უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად ეზღუდება საკუთრების უფლება,

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, საქართველოს საგამოძიებო ორგანოების მიერ მოქალაქე [REDACTED] დაუბრუნდეს სისხლის სამართლის [REDACTED] საქმეზე გამოძიების მიმდინარეობისას ამოღებული მისი კუთვნილი ავტომანქანა MERSEDES – BENZ VANE0 სახელმწიფო ნომრით [REDACTED]

განხილვის შედეგების შესახებ, გთხოვთ მაცნობოთ ამავე კანონის 23-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 14 (თოთხმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

5-
[Handwritten signature]



¹⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 191, ნაწ. 1.

სახალხო დამცველი